,,სტარტაპ ეკოსისტემა საქართველოში: სტრატეგიული მენეჯმენტის როლი და გამოწვევები.“

თამარი შურღაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიების და განათლების ფაკულტეტზე მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მენეჯმენტი

ხელმძღვანელი: თეონა თავდიშვილი, ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარი შურღაია

19.06.2025

აბსტრაქტი

ნაშრომში განიხილულია სტარტაპ ეკოსისტემის განვითარება საქართველოში, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სტრატეგიული მენეჯმენტის როლსა და მისი პრაქტიკის ხარისხზე. კვლევის თეორიული და ანალიტიკური ჩარჩო დაფუძნებულია იმ აზრზე, რომ სტარტაპების მდგრადობა და კონკურენტუნარიანობა მხოლოდ ფინანსური მხარდაჭერით არ განისაზღვრება — გადამწყვეტ როლს ასრულებს გრძელვადიანი ხედვის არსებობა, ეფექტური მენეჯერული სტრუქტურა და სტრატეგიულად არჩეული განვითარების მიმართულება. ამ კუთხით, კვლევის საგანს წარმოადგენს თუ როგორ განაპირობებს სტრატეგიული მენეჯმენტი სტარტაპის ფუნქციონირებას ფართო ეკოსისტემურ კონტექსტში, რომელშიც შეტანილია ფინანსური, რეგულაციური, საგანმანათლებლო და ტექნოლოგიური კომპონენტები.

კვლევის ჩატარების მიზანი იყო საქართველოს სტარტაპ ეკოსისტემაში სტრატეგიული მენეჯმენტის როლისა და გამოწვევების შესწავლა, რათა განისაზღვროს, როგორ მოქმედებს მენეჯერული მიდგომა სტარტაპების განვითარებაზე, მდგრადობაზე და გრძელვადიან წარმატებაზე. საკითხის კომპლექსურად შესასწავლად გამოყენებულ იქნა შერეული მეთოდოლოგიური მიდგომა. მონაცემების შესაგროვებლად თავდაპირველად მომზადდა ონლაინ კითხვარი, რომელიც შემდგომ სტარტაპების დამფუძნებლებს გაეგზავნათ შესავსებად, რაც მიზნად ისახავდა მათი მენეჯერული ქცევების, სტრატეგიული დაგეგმარების პრაქტიკებისა და გამოწვევების იდენტიფიცირებას. პარალელურად, ჩატარდა ინტერვიუები სტარტაპ სექტორში არსებულ აქტიურ მონაწილეებთან — მათ შორის დამფუძნებლებთან და ინვესტორებთან — რაც გვაძლევს საშუალებას მივიღოთ სუბიექტური გამოცდილება და სიღრმისეული შეფასებები, რომლებიც რაოდენობრივი მონაცემების მიღმა იკვეთება.

მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ სტრატეგიული მენეჯმენტის პრაქტიკის არსებობა და ხარისხი მჭიდროდ უკავშირდება სტარტაპების მდგრად განვითარებასა და ბაზარზე პოზიციონირების უნარს. განსაკუთრებით გამოიკვეთა სტრატეგიული ხედვის, მიზნობრივი დაგეგმვისა და გარე გარემოზე ადაპტირების უნარის

მნიშვნელობა, როგორც წარმატების განმაპირობებელი ფაქტორები. ამასთან, კვლევამ აჩვენა, რომ სტარტაპების ნაწილისთვის გამოწვევას წარმოადგენს სტრატეგიული ცოდნის სისტემური გამოყენება და შესაბამისი მენეჯერული უნარების ფორმირება, რაც ხშირად დაკავშირებულია რესურსებზე, ცოდნაზე და პრაქტიკულ მხარდაჭერაზე წვდომის არასაკმარისობასთან. აღნიშნული ტენდენციები მეტწილად დასტურდება სტარტაპების მიერ სტრატეგიული ინსტრუმენტების არათანმიმდევრული გამოყენებითა და მენტორული ჩართულობის შედარებით დაბალი ინტენსივობით.

მიგნებები ადასტურებს, რომ წარმატებული სტარტაპების საერთო მახასიათებლებია: ადრეული უკუკავშირის საფუძველზე განხორციელებული სტრატეგიული ადაპტაცია, გუნდის მულტიდისციპლინარული კომპეტენცია, ინვესტორებთან გამჭვირვალე კომუნიკაცია და სწავლებასა და ცოდნის განახლებაზე ორიენტირებული მიდგომა.

საძიებო სიტყვები: **სტარტაპი, ინოვაციურობა, სტრატეგიული მენეჯმენტი, სტარტაპ ეკოსისტემა, საქართველო.**

Abstract

This thesis explores the development of the startup ecosystem in Georgia, with a particular focus on the role and quality of strategic management practices. The theoretical and analytical framework is based on the premise that the sustainability and competitiveness of startups cannot be determined solely by financial support—rather, they depend fundamentally on the existence of a long-term vision, an effective managerial structure, and a strategically defined direction for growth. In this context, the research examines how strategic management influences startup performance within the broader ecosystem, which encompasses financial, regulatory, educational, and technological components.

The aim of this study was to examine the role and challenges of strategic management within Georgia's startup ecosystem, in order to determine how managerial approaches influence the development, sustainability, and long-term success of startups. To explore the issue comprehensively, a mixed-method research design was employed. For data collection, an online questionnaire was initially prepared and subsequently distributed to startup founders for completion. This was intended to identify their managerial behaviors, strategic planning practices, and key challenges. In parallel, interviews were conducted with active participants in the startup sector — including founders and investors — which allows for the collection of subjective experiences and in-depth insights that extend beyond what quantitative data can reveal.

The findings indicate that the presence and quality of strategic management are closely linked to startups' sustainable growth and market positioning capabilities. The research highlights the importance of strategic vision, targeted planning, and adaptability to external environments as key determinants of success. Furthermore, the study reveals that for some startups, the systematic application of strategic knowledge and the development of corresponding managerial competencies remain challenging, often due to limited access to resources, knowledge, and practical support. These tendencies are reflected in the inconsistent use of strategic tools and relatively low levels of engagement in mentoring activities.

The study concludes that common characteristics of successful startups include early-stage strategic adaptation informed by user feedback, multidisciplinary team competencies, transparent communication with investors, and a continuous commitment to learning and knowledge development.

Keywords: Startup, Innovativeness, Strategic Management, Startup Ecosystem, Georgia.